

(სსმ III, 19.03.2010 N 30 მუხ. 443)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
220.010.040.18.011.014.359

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 43/01

2010 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების შესახებ თანდართული დებულება თანდართულ დანართთან ერთად.

2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ფულად-საკრედიტო ამოცანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით.

3. ძალაში დარჩეს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები კომერციული ბანკების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში გადაცემისა და მისი ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენების შესახებ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 2 სექტემბრის N 234 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გ. ქადაგიძე

დებულება

საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) კომერციულ ბანკებზე გასცემს სესხს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.
2. რეფინანსირების სესხი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისათვის ფულადი რესურსის მიწოდებას დადგენილი უზრუნველყოფით.
3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით, ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხს გასცემს ეროვნული ვალუტით.
4. რეფინანსირების სესხი გაიცემა საქართველოში მოქმედ რეზიდენტ კომერციულ ბანკებზე და არარეზიდენტი ბანკების ფილიალებზე (შემდგომში ბანკები), რომელთაც ანგარიში აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში.
5. ბანკებზე რეფინანსირების სესხს ეროვნული ბანკი გასცემს:
 - ა) აუქციონის წესით, მრავალი ფასის მეთოდით;
 - ბ) აუქციონის გარეშე, წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

მუხლი 2. რეფინანსირების სესხის ძირითადი პირობები

1. ეროვნული ბანკი ბანკებთან აფორმებს ხელშეკრულებას ბანკების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების და/ან სხვა ნებადართული აქტივების მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში გადაცემისა და მისი ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენების შესახებ (დანართი N1).
2. რეფინანსირების უზრუნველსაყოფად გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ:
 - ა) საქართველოს მთავრობის და/ან საქართველოს ეროვნული ბანკის ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ბანკის მიერ მოთავსებულია მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში;
 - ბ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე და მე-40 მუხლით გათვალისწინებული სხვა აქტივები, რომლის გამოყენებაც რეფინანსირების სესხებისათვის ნებადართულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით.
3. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადა მინიმუმ ორი საბანკო დღით უნდა აღემატებოდეს სესხის დაფარვის ვადას და ისინი არ უნდა გამოიყენებოდნენ სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფად, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. ბანკს ახალი სესხის აღება შეუძლია ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის

დასაფარად, იმავე უზრუნველყოფის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ახალი სესხის თანხის ჩარიცხვისთანავე ამ თანხით დაიფარება უკვე არსებული სესხი.

5. ბანკის მიერ მოთხოვნილი რეფინანსირების სესხის მოცულობა შესაბამისობაში უნდა იყოს მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში არსებულ აქტივებთან.
6. რეფინანსირების სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას რეფინანსირების სესხის უზრუნველყოფასთან ადგენს ეროვნული ბანკი და წინასწარ აცნობებს ბანკს.
7. რეფინანსირების სესხის აღების შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის ელექტრონული ფორმით სესხის განაცხადის წარდგენის დღემდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე.
8. რეფინანსირების სესხის ასაღებად ბანკი აგზავნის შეტყობინებას – სესხის განაცხადს დადგენილ დრომდე ეროვნულ ბანკში, SWIFT-ის ავტორიზებული შეტყობინების სახით ან ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მეშვეობით.
9. რეფინანსირების სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:
 - ა) რეფინანსირების სესხის მოცულობა;
 - ბ) რეფინანსირების სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი;
 - გ) რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღი;
 - დ) უზრუნველყოფის დასახელება.
10. ეროვნული ბანკი არ განიხილავს ისეთ განაცხადს, რომელიც დადგენილ დროზე გვიან არის წარდგენილი, ან არ შეიცავს ყველა დადგენილ ინფორმაციას, ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას, ან თუ ბანკს არა აქვს მოთხოვნილი სესხისათვის საკმარისი უზრუნველყოფა.
11. სასესხო განაცხადის გაგზავნით ბანკი ადასტურებს რეფინანსირების სესხის აღების გადაწყვეტილებას და ამ დებულებით დადგენილი წესების შესრულების ვალდებულებას.
12. რეფინანსირების სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქცეპტოდ, ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე.
13. რეფინანსირების დაფარვის დღეს, ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობის გამო სესხის არდაფარვის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე ბანკს დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი სესხისათვის დადგენილი პროცენტი.
14. რეფინანსირების სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაუფარაობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი სესხის უზრუნველყოფაში მყოფ ფასიან ქაღალდებს გადაიტანს თავის მფლობელობაში და გაასხვისებს მის მიერ დადგენილი წესით.

15. იმ შემთხვევაში თუ გასხვისების შედეგად მიღებული თანხა აღემატება ბანკის დავალიანებას, ნამეტი თანხა დაუბრუნდება ბანკს.
16. თუ მიღებული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა სესხისა და დარიცხული პროცენტის დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 3. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის აღების წესი

1. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის საერთო მოცულობას, მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს, სესხის ვადიანობას, სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან ადგენს ეროვნული ბანკი.
2. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის აღების შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:
 - ა) რეფინანსირების სესხის აუქციონის ჩატარების თარიღსა და დროს;
 - ბ) აუქციონზე გამოტანილი რეფინანსირების სესხის საერთო მოცულობას;
 - გ) რეფინანსირების სესხის მინიმალურ წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
 - დ) რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
 - ე) რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
 - ვ) რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას (SWIFT ან ბლუმბერგი).
3. რეფინანსირების სესხის აუქციონზე წარდგენილი განაცხადები დაკმაყოფილდება მათი საპროცენტო განაკვეთის კლების მიხედვით და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დალაგებული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი რეფინანსირების სესხის საერთო თანხას ან საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბრდება მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს.
4. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ყველაზე დაბალი ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამოდენიმე სასესხო განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ განუთავსებელი თანხის ოდენობას, ასეთი განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით, მძიმის შემდეგ რიცხვის მე-100-მდე დამრგვალებით.
5. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშსწორების დღეს საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.

მუხლი 4. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების წესი

1. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული, რომელსაც წინასწარ ადგენს ეროვნული ბანკი და რომელიც წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის სპრედის ჯამს.
2. თუ ეროვნული ბანკის მიერ ზედიზედ ნებისმიერი სამი კალენდარული თვის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ორ პროცენტულ პუნქტზე მეტად გაიზარდა, ამ ფაქტის დადგომიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში აუქციონის გარეშე აღებული და ჯერ დაუფარავი რეფინანსირების სესხის განახლებისათვის საპროცენტო განაკვეთი დარჩება უცვლელი.
3. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის ვადიანობა და შესაბამისად სესხის აღებისა და დაფარვის თარიღები იდენტურია აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღების.
4. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ შეტყობინების არ დაგზავნის შემთხვევაში, ავტომატურად მოქმედებს აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ ეროვნული ბანკის ბოლო შეტყობინებით განსაზღვრული პირობები.
5. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:
 - ა) რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
 - ბ) რეფინანსირების სესხის წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
 - გ) რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
 - დ) რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას (SWIFT ან ბლუმბერგი).
6. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის განაცხადის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშწორების დღეს საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.
7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს ცალკეულ ბანკზე გასაცემი რეფინანსირების სესხის ლიმიტი, რის შესახებ ინფორმაცია ბანკებს მიეწოდებათ ლიმიტის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე.

ხელშეკრულება

კომერციული ბანკების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში გადაცემისა და მისი ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენების შესახებ

ერთი მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკი, მისი პრეზიდენტის (ვიცე-პრეზიდენტის) სახით, ხოლო მეორე მხრივ კომერციული ბანკი (კომერციული ბანკის დასახელება), მისი ხელმძღვანლის (თანამდებობა, სახელი და გვარი), აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში განთავსება და უზრუნველყოფის პორტფელის მართვა.

2. კომერციული ბანკის ვალდებულებები

2.1 კომერციული ბანკი თანახმაა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული, კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, ასევე მის მიერ მომავალში ეროვნული ბანკის აუქციონებზე შეძენილი შესაბამისი ფასიანი ქაღალდები შეტანილ იქნეს მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში (შემდგომში პორტფელი).

3. ეროვნული ბანკის ვალდებულებები

3.1 კომერციული ბანკის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს მოთხოვნა კონკრეტული ფასიანი ქაღალდის პორტფელიდან ამოღების თაობაზე, თუ პორტფელის დარჩენილი მოცულობა საკმარისია ბანკის მიერ მონეტარული ოპერაციებით მიმდინარე დავალიანების უზრუნველსაყოფად.

3.2 კომერციული ბანკის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვალდებულია დაამატოს პორტფელში ბანკის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდი, თუ ის შეესაბამება მონეტარული ოპერაციებისათვის გამოყენებადი ფასიანი ქაღალდების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

4. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

4.1 პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფად გამოყენება ხდება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, მხოლოდ მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას.

4.2 უზრუნველყოფის გამოყენების შეთხვევაში, ეროვნული ბანკი პირველ რიგში გამოიყენებს იმ ფასიან ქაღალდებს რომელთა დაფარვის ვადაც უფრო ადრე დგება.

5. დამატებითი პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება ფორმდება 1 წლით და მისი მოქმედება ავტომატურად

გრძელდება ყოველი შემდგომი 1 წლით, თუ ვადის დამთავრებამდე არა უგვიანეს 10 დღისა ერთ-ერთმა მხარემ არ მიიღო წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

5.2 მხარეებს უფლება აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, თუ ამას სულ ცოტა 10 დღით ადრე წერილობით აცნობებენ მეორე მხარეს.

5.3 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

5.4 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლო წესით.

5.5 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება ეროვნულ ბანკში, ხოლო მესამე – კომერციულ ბანკში და სამივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6. მხარეთა იურიდიული მისამართები

საქართველოს ეროვნული ბანკი

ლეონიძის ქ. 3/5, თბილისი, 0105,

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტი)

ბ.ა

კომერციული ბანკის დასახელება

კომერციული ბანკის

ხელმძღვანელი

ბ.ა